საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

საზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№22 (6661) 21 ივნისი 1995 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ამნისტია ყველას როდი ეხება

ამ ერთი თვის წინ დიდი აურზაური იყო ატეხილი პრესასა და ტელერადიოეთერში მოსალოდნელი ამნისტიის შესახებ. აზრთა მკვეთრი დაპირისპირება მოჰყვა ამნისტიის შესახებ კახონის განხილვას რესპუბლიკის პარლამენტში. დღეს კანონი მიღებულია და მოქმედებს. მის გარშემო უფრო მეტი სინათლის მოსაფენად ვესაუბრეთ რაიონის სასამართლოს თავმჯდომარეს ქალბატონ ლეილა გურგუჩიანს.

—უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სამი ამნისტია გამოვიდა. რას დაუკავშირდა მორიგი ამნისტიის გამოცემა და რით განსხვავდება ის წინამორბედი ამნისტიებისგან?

—საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა სახელმწიფოებრივი დაძაბულობის აღდგენის დღესთან დაკავშირებით გამოსცა კანონი „ამნისტიის შესახებ“. რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის ორივნისს, ვრცელდება მის მიღებამდე ჩადენილ ამ კანონით გათვალისწინებულ ყველა დანაშაულზე და უნდა განხორციელდეს ორი თვის განმავლობაში, ე.ი. 1995 წლის ორ აგვისტომდე. «ამნისტიის შესახებ» ახლად გამოცემული კანონი, 1990 წლის 22 ნოემბრის ამნისტიისა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 27 თებერვლის დადგენილებებთან შედარებით უფრო ვიწრო სპექტრისაა და მხოლოდ პირთა იმ კატეგორიას ეხება, რომელთაც ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული და მათი თავისუფლებაში ყოფნა არ წარმოადგენს საზოგადოებისათვის საშიშროებას. ამ სფეროში გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით.

—კონკრეტულად რა კატეგორიის დამნაშავეები თავისუფლდებიან ამნისტიის შესახებ ამჟამად მოქმედი კანონით?

ამნისტიის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის ამჟამად მოქმედი კანონის საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული ვადის მიუხედავად, სასჯელისაგან თავისუფლდებიან პირები, რომლებიც ამ კანონის ძალაში შესვლის დროისთვის მსჯავრდებულნი არიან სსკ 91—ე მუხლის მეორე ნაწილით (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება ქურდობით), აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით, რომლებიც არ ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას ხუთ წელზე მეტი ვადით. ეს არ ეხებათ იმ პირთა, რომლებმაც ჩაიდინეს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, კოდექსის 97—ე მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გამოძალვა 153—ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (თაღლითობა), 154—ე მუხლის მეორე ნაწილით (პირადი ქონების გამოძალვა) 160 მუხლით (მოგებისა და გადასახადის დასაბეგრი სხვა ობიექტების დამალვა), 169—7 მუხლის პირველი ნაწილით (უკანონო სავაჭრო საქმიანობა), 187—ე მუხლის მეორე ნაწილით (ხელისუფლებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 194—ე მუხლით (უკანონო დაპატიმრება ან დაკავება), 195—ე მუხლის პირველი ნაწილით (ჩვენების მიცემის იძულება), 252—ე მუხლის მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე ნაწილებით (ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა), 252—1 მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით (ნარკოტიკულ საშუალებათა გატაცება), 252—2 მუხლით (ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე ოდენობით უკანონო შეძენა ან შენახვა ან ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე), 252—3 მუხლის პირველი ნაწილით (ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებაზე დაყოლიება) გათვალისწინებული დანაშაული.

—რაიმე შეღავათები თუ არის გათვალისწინებული მსჯავრდებულ ქალთათვის და არასრულწლოვანებისათვის?

—ამნისტიის შესახებ კანონის მესამე მუხლის საფუძველზე სასჯელისგან თავისუფლდებიან არასრულწლოვნები, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, ქალები და 60 წელს გადაცილებული მამაკაცები, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე ვადით, თუ ისინი მსჯავრდებულნი არიან საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 75—ე მუხლის მესამე ნაწილით (ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევა). 105—ე მუხლით (განზრახ მკვლელობა), 110—ე მუხლის მეორე ნაწილით (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება), 117 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (გაუპატიურება), 133—1 მუხლით (მძევლად ხელში ჩაგდება), 152—ე მუხლის პირველი ნაწილით (ყაჩაღობა), 209—ე 1 მუხლით (საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პოლიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა) 252-ე მუხლით (ნარკოტიკულ საშუალებათა სხვა ძლიერ მოქმედი და შხამიან ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გავრცელება, ან გასაღება), 252—1 მუხლით (ნარკოტიკულ საშუალებათა და სხვა ძლიერ მომქმედი და შხამიან ნივთიერებათა გატაცება). 252—ე 2 მუხლით (ნარკოტიკულ ნივთიერებათა მცირე ოდენობით უკანონო შეძენა ან შენახვა ან ხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე). 252—ე-3 მუხლით (ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებაზე დაყოლიება). 252—5 მუხლით (ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარების

დასასრული მე—3 გვერდზე

იჩქარეთ, გამოიწერეთ «ლეჩხუმი»

დღეს ძალზედ უჭირს ჩვენს რესპუბლიკას. ყველგან იგრძნობა მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობა. გაძვირებულია რესპუბლიკური გაზეთები, რომელთა გამოწერა პრაქტიკულად არც ერთ მოქალაქეს არ შეუძლია. ამიტომაა, რომ რაიონში არც ერთი ცალი გაზეთი არ არის გამოწერილი და არც შემოდის. შეიძლება ითქვას, ინფორმაციის ვაკუუმში მოვექეცით.

რომ არ გამოეთიშოთ დღევანდელ ცხოვრებას და გაეცნოთ ყოველდღიურ ინფორმაციაში ამ საქმეში თქვენ დაგეხმარებათ ჩვენი რაიონული გაზეთი „ლეჩხუმი“.

მიმდინარეობს „ლეჩხუმზე“ წლის მეორე ნახევრისათვის ხელმოწერა და იგი 1 ივლისამდე გაგრძელდება.

გამოწერა შეგიძლიათ ყოველდღე რედაქციაში. თუ ჩვენთან მოსვლას ვერ მოახერხებთ, მიმართეთ უახლოეს საფოსტო განყოფილებას.

„ლეჩხუმზე“ ხელმოწერა 6 თვით მილიონნახევარი კუპონი ღირს. ბევრს შეიძლება იგი ძვირად მოეჩვენოს, მაგრამ ამ თანხით რედაქცია ერთ კილოგრამ ქაღალდსაც ვერ ყიდულობს.

ლეჩხუმელებო, ნუ დარჩებით „ლეჩხუმის“ გარეშე.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქცია.

ქვეყნის შენება დღევანდელი მოზარდის ხვედრია

დღევანდელი საქართველოს განახლება, ჩვენი ძოძავალი კეთილდღეობა იმ მოზარდებზეა დამოკიდებული, რომლებიც დღევანდელ სკოლაში მომავალ მოქალაქეებად ყალიბდებიან, ამიტომ ის, რაც სკოლას და მის სატკივარს ეხება, არაფერი წვრილმანი და უმნიშვნელო არაა.

უკვე დამთავრდა რაიონის სკოლებში გამოცდები და დღევანდელი ცხოვრებით გაძოწვეული ამ ტკივილებით აღსავსე. ჩვენი საზოგადოების ყველაზე უფროსებს და ყველაზე მეტად გასაფრთხილებელ დაწესებულებებში, სიწყნარე დაისადგურებს.

იხსტრუქციის ზუსტი დაცვით, ნორმალურად ჩატარდა ლაილაშის საშუალო სკოლაში ყველა სახის გამოცდები—გადასაყვანი, მისაღები თუ გამოსაშვები.

წელს 9 ახალგაზრდა აიღებს სკოლის დამთავრების ატესტატს და ჩადგება დღევანდელი საქართველოს სამსახურში.

რა წინააღმდეგობებია იმ პერსპექტივების განხორციელებისათვის, რაც ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ გვესახებათ?—

ამ კითხვით მივმართეთ სკოლის დირექტორს **ნოდარ მესხაძეს.**

ძალზე დროული და უპირველესად მოსაგვარებელი სკოლის სათბობით მომარაგებაა. ძალზე გვიჭირს თუნუქის ღუმელებზე. რაც ამთავითვე გასათვალისწინებელია. რაც შეეხება სკოლის რემონტს, ეს ხომ მეტისმეტად მტკივნეულია, რადგან არანაირი ძალა და საშუალება არ გვაქვს, რომ იგი საკუთარი ძალებით, მშობლებისა თუ სოფლის მოსახლეობის დახმარებით გავაკეთოთ. არადა სკოლის ეს უძველესი შენობა, რომელიც ადრე ერთდროულად ორ ფუნქციას ასრულებდა—თავისთავად სკოლაც იყო და ამავე დროს რაიონის ბავშვთა საზაფხულო დასასვენებელი სახლიც. დღეს სამარცხვინოდ გამოიყურება, ყველაზე აუტანელია, რომ სკოლის შენობაში წვიმს, სახურავი გამოცვლას ითხოვს, რით გავაკეთოთ? ვფიქრობთ და ჯერჯერობით ვერაფერი მოვიფიქრეთ და ვრჩებით ასე.

და, მიუხედავად ყველაფრისა, ყველანაირად ვცდილობთ სწავლების კანონის ზუსტად გატარებას. არც ერთი სკოლის ასაკის ბავშვი სკოლის გარეშე არ დარჩება. ცუდად არ გამოიყურება სკოლის კადრებით დაკომპლექტების საქმე, რაც სასკოლო ცხოვრების ერთადერთი განმსაზღვრელ კომპონენტს წარმოადგენს. მართალია, პენსიონერები წავიდნენ, მაგრამ სკოლაში საკმაოდ ძლიერი ვარგისი ახალგაზრდა კადრები მოვიდნენ, თუმცა უცხო ენის მასწავლებელი არა გვყავს და ესეც გასათვალისწინებელია ახალი სასწავლო წლისათვის.

ქვეყნის განახლება მოზარდთა ხვედრია, თუ დღევანდელ საზოგადოებაში ცოტას თუ ყოფნის სკოლის აუცილებლობის შეგნება, გაივლის წლები და გონს მოსული საზოგადოებისათვის გვიან იქნება თითზე კბენანი.

ამნისტია ყველას ეხება

(დასასრული)

ბუნაგის მოწყობა) გათვალისწინებული დანაშაული.

ამნისტიით სასჯელის მოუხდელი ნაწილი უნახევრდებათ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირებს, თუ მათ დანაშაული ჩადენილი არ აქვთ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებათა ზეგავლენის ქვეშ, ხოლო სასჯელისგან საერთოდ თავისუფლდებიან ის პირები, რომელთა ძირითადი სასჯელი არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

„ამნისტიის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პირველი და ძესაძე მუხლების მოქმედება ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა მიმართ გამოყენებული იყო საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 46—ე მუხლი (პირობითი მსჯავრდება) და 47—1 მუხლი (განაჩენის აღსრულების გადადება),— იმ პირებზე, რომელთაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, აგრეთვე გამასწორებელი სამუშაოები,მსჯავრდებულ პირებზე.

—აქვს თუ არა რაიმე განსაკუთრებული შეზღუდვა ან შეღავათი ამ კანონს?

—განსაკუთრებულ შეზღუდვად უნდა მივიჩნიოთ, რომ ამნისტია არ ეხება არც ერთი კატეგორიის დამნაშავეს, თუ ის წარსულში ნასამართლევია —განზრახ დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთით, აგრეთვე «ამნისტიის შესახებ" კანონით გათვალისწინებული პირები არ თავისუფლდებიან ზამატებით სასჯელისაგან და მათ ნასამართლობა მოეხსნებათ კანონით დადგენილი წესით.

გარკვეულ შეღავათად ითვლება რომ—„ამნისტიის შესახებ" კანონის პირველ და მესამე მუხლებში მითითებულ პირებს, რომლებიც თავს აარიდებენ ბრალმოძიებას ან გაქცევენ თავისუფლების აღკვეთის აღგილებიდან, აშლილვათ შესაძლებლობა ამნისტიის შესრულების პერიოდში, ე. ი. 1995 წლის ორ აგვისტომდე, ნებაყოფლობით გამოცხადნენ შესაბამის ორგანოებში და იმ შემთხვევაში, თუ ძებნის პერიოდში სხვა დანაშაული არ ჩაუდენიათ განთავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან. ამ კანონის გამოყენების დროს მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია კანონით დადგენილი წესით.

თვალსაზრისი

ფედერაცია—

დღეს საქართველოში სახელმწიფოებრივი მოწყობის პროცესი ძიმდინარეობს, რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობით.

როგორი უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფო? ფედერაციული თუ უნიტარული? ძიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყანა ფედერაციულ მოწყობას ექვემდებარება. აძის ძთავარი პირობაა მრავალეროვანი საქართველო, სადაც ზოგიერთი მოძმე ერები კომპაქტურად არიან დასახლებული, ეს მითუმეტეს, რომ დემოკრატიის ძეენებელი ქვეყანა ვართ.

საკითხს თუ კარგად ჩავუღრმავდებით, ძნელი არ არის მიხვედრა—მრავალეროვან ქვეყანაში თუ ფედერაციული მოწყობა არ იქნა და უნიტარულობის პრინციპს მივმართეთ, რომელ დემოკრატიაზე გვექნება ლაპარაკი? სეპარატიზმი კი ხელთ უნდა გვეჭიროს. მხოლოდ ქვეყნის ფედერაციული მოწყობა გაამარჯვებინებს დემოკრატიას, ეროვნებებს შორის აღმოფხვრის ეთნოკონფლიქტებს, დაამყარებს მეგობრობას და მშვიდობას და არა პირიქით, როგორც ზოგიერთი ფიქრობს.

რაც შეეხება ქვეყნის სამხარეო მოწყობას, ეს ძირითადად სახელმწიფოს ეკონომიკური და ადმინისტრაციული მართვის კარგ საშუალებად მიგვაჩნია.

ეკონომიკური დარაიონების მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია შეურნეობის სპეციალიზებული დარგების პროდუქციის რაიონის ფარგლებს გარეთ გატანა; მხარის ეკონომიკური მთლიანობა, ეკონომიკური რაიონის საქალაქო ცენტრების და ერთიანი სატრანსპორტო ქსელის არსებობა.

საქართველოს ტერიტორიის ცალკეულ მხარეებად დაყოთას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბუნებრივ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ნიშნების მიხედვით ჩვენში ოდითგანვე ჩამოყალიბდა ისტორიულ- გეოგრაფიული პროვინციები (ქართლი, კახეთი, იმერეთი, რაჭა,

დემოკრატიის

ლეჩხუმი, მესხეთი ჯავახეთი, გურია, სამეგრელო).

როგორც სპეციალისტები მიგვითითებენ ეკონომიკური დარაიონებისთვის ქვეყნის ასეთი დანაწილების ერთგვარ საფუძველს წარმოადგენს, ეკონომიკური რაიონის, მხარის უმთავრესი თვისება მის ცალკეულ ნაწილებს შორის მაქსიმალური მეურნეობრივი ურთიერთდაკავშირება, რაც დარგთა შორის ინტეგრაციის პირობაა.

ისეთ მთიან ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, ეკონომიკური ადმინისტრაციული მხარის ტერიტორიულ შემადგენლობასა და მოხაზულობას განსაზღვრავს პირველ რიგში სატრანსპორტო ეკონომიკური კავშირის ხასიათი, სატრანსპორტო კავშირის მიმართულებას განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა სამდინარო ქსელის კონფიგურაცია. მდინარეთა ხეობები და მათში გამავალი გზები. ეს ძირითადი კომუნიკაციებია. რომლებიც მთიან ტერიტორიებს აკავშირებენ ბართან დადაბლებულ ზონებთან. დასახელებულ ნიშნებზე და პირობებზე დაყრდნობით მეცნიერულ წყაროებში საქართველო დაყოფილია 7 ერთეულად. ესენი არიან 1 აღმოსავლეთი (კახეთი), 2. აღმოსავლეთ ცენტრალური (თბილისი, რუსთავი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი), 3. დასავლეთ ცენტრალური (ქუთაისი, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი). 4. დასავლეთი (გურია, სამეგრელო ზემო სვანეთი), 5. სამხრეთი— (მესხეთ-ჯავახეთი), 6. აფხაზეთი, 7. აჭარა.

როგორც ვხედავთ დასახელებულ მხარეებში რამდენადაც შესაძლებელია თითოეულ მათგანში სასოფლო-სამეურნეო რაიონები შეხამებულია მსხვილ სამრეწველო ცენტრებთან რადგან ისინი ყოველმხრივ ავსებენ ერთიმეორეს. რაც მეტად აუცილებელია. მეცნიერულად გათვლილი ეს პრინციპი და კიდევ სხვა პირობებიც დღევანდელი სამხარეო დაყოფის

წინაპირობა

დროს ზოგჯერ უგულებელყოფილია. ამის მაგალითად გამოდგება რაჭის, ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ჩამოცილება ქუთაისზე. ე. . იმერეთის რაიონზე და მისი ცალკე მხარედ შექმნა. ეს შეცდომად მიგვაჩნია. საკითხი სუბიექტურად არის გადაწყვეტილი. ვფიქრობთ, ეს თავს არ ადვიწყებს და სჯობს დროზე გასწორდეს. დასავლეთ ცენტრალური მხარე (ქუთაისი, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი) უნდა იყოს განუყოფელი.

ქვეყნის სრულყოფილი მართვისათვის აუცილებელია შეზღუდული კონტიგენტით სამხარეო ადმინისტრაცია. რომლის პირველ ხელმძღვანელს საუკეთესოთა შორის საუკეთესოს შეარჩევს, დანიშნავს და საჭიროების შემთხვევაში გაათავისუფლებს ქვეყნის პრეზიდენტი.

სამხარეო ადმინისტრაცია ეს იქნება მხარის გლობალური ეკონომიური, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური საკითხების მომგვარებელი ბირთვი. ადგილობრივ რაიონულ მმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის საქმიანი ოპერატიული კავშირების დამმყარებელი.

ამასთან აუცილებლად უნდა გაგრძელოს არსებობა დღევანდელმა რაიონულმა რგოლმა, რა თქმა უნდა არსებული შტატების შემცირებით, რომლის ხელმძღვანელობა ხალხმა უნდა აირჩიოს.

ვფიქრობთ, ქვეყნის ასეთი მოწყობა კარგ შედეგს მოგვიტანს.

დავით კოკალიანი,

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებიდან

გვაცნობებენ—ინფორმაციას

ცაგერის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკები აქტიურ ოპერატიულ საქმიანობას ეწევიან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ბევრ გაუხსნელ საქმეს აეხადა ფარდა, ბევრ დამნაშავეს ჩამოეხსნა ნიღაბი.

რაიონში ოპერატიული ვითარება წინა- წლებთან შედარებით უკეთესია, მაგრამ კვლავ ადგილი აქვს დანაშაულის ფაქტებს, რაც პოლიციას დამშვიდების უფლებას არადა არ აძლევს.

ამ ცოტა ხნის წინ ოპერატიული ღონისძიების გატარების შედეგად გაიხსნა 1993 წლის თებერვალში ქალაქ ცაგერში მცხოვრები ნუნუ ბაბუხადიას ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტი. დაკავებული იქნა სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში მცხოვრები იმედა ჭუჭულას ძე ავალიანი ცაგერის რაიონის სოფელ აღვში მცხოვრები ძმები— კარლო და როსტომ სილაგაძეები.

ამა წლის 12 მაისს მოქალაქეთა პირადი ქონების ყაჩაღობისათვის დაკავებულ იქნა ძებნილი ტარიელ ნოდარის ძე მახარობლიძე—დაბადებული 1974 წელს, ცაგერის რაიონის სოფელ ლაჯანაში მცხოვრები.

სოფელ ჩხუტელში მცხოვრები ბაკურ კარლოს ძე გულბანისა და მამუკა ვლასის ძე ქარსელაძის ოჯახებიდან ამოღებულ იქნა თითო ცალი ხელყუმბარა.

ამა წლის 15 ივნისს ეგრეთწოდებულ «ფარელის" ტერიტორიაზე ავტომატური იარაღიდან გასროლით დაჭრილ იქნა სოფელ ორპელში მცხოვრები ინდისი ნიკოს ძე სილაგაძე.

ზემოთაღნიშნულ ფაქტებზე მიმდინარეობს ძიება.

სპეციალისტის კვიპრჩევა

ფიტოფტორა პარტოფილის საშიში დაავადებაა

ფიტოფტორა ინფოკოვანი დაავადებაა, მისი გამომწვევია სოკო ფიტოფტორა—ინფენსტანსი. ის, კარტოფილის გარდა, ძლიერ აზიანებს პამიდორის ფოთლებსა და ნაყოფს. მისი სამშობლოა ამერიკა. ევროპაში შემოვიდა 1840—45 წლებში. 1853 წელს ამ დაავადებამ დიდი ზიანი მიაყენა ირლანდიას. ადამიანები შიმშილით რომ აღ დახოცილიყვნენ, ემიგრაციაში წავიდნენ. მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება სხვა ქვეყნებიდან ტუბერებსა და ნაყოფს ქვედა იარუსის ფოთლებზე პირველად ჩნდება გაფვანტული წვრილი ყავისფერი ლაქები. თუ ნესტიანი ამინდებია, დაავადება სწრაფად ვითარდება და მთელ ნარგაობას ედება. ფოთლები ანად შავდება და ხმება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ხანძრისაგან გადამწვარიყოს მთელი ნარგაობა.

პამიდვრის ფოთლებზე წვეროდან ჩნდება დიდი ღია მწვანე ფერის ლაქები, რომლებიც მთელ ფოთოლს ედება და ცხელი წყლით გათუთქულს ემგვანება. წვიმიან ამინდში დაავადება სწრაფად ვრცელდება. ფოთოლი ედება მთელ და ამერიკის სხვადასხვა შტატებიდან.

ფიტოფტორა აავადებს კარტოფილისა და პამიდვრის ფოთლებს, ღეროს, მცენარეს და შავად ახმობს. პამიდვრის ნაყოფის დაავადების დროს კანის ქვეშ ჩნდება შესიებული ლაქები, რომელიც ნაყოფს მთლიანად ალპობს წვიმიან ამინდში, ხოლო მშრალ ამინდში ლაქის ადგილას ნაყოფი გამაგრებული და ნარევებულია, მურა ფერისაა; სალი ნაწილი კი მწიფდება და წითელ ფონზე დაავადებული ნაწილი ადვილი შესამჩნევი ხდება.

დაზიანებამდე განვითარებული ტუბერები მოუმწიფებელი რჩება, ჭანება და საჭმელად უვარგისი ხდება.

გარდა ამისა, ტუბერებიც ავადდება ნიადაგში, სადაც წყალს დაავადებული მცენარიდან ჩააქვს ფიტოფტორას გამომწვევი სპორები. ისინი, მოხვდებიან რა ტუბერის ზედაპირზე, სოლივით იჭრებიან მასში და იწვევენ ტუბერების სველ ლპობას, რაც შენახვისას, საწყობის პირობებში გრძელდება. დაავადებული ტუბერის ქერქის ქსოვილი მუქდება, რბილდება და მყრალ სუნს გამოსცემს.

სოკო ზამთრობს დაავადებული მცენარის ნარჩენებსა და ტუბერებზე მიცელიუმის სახით. დაავადებულ ნაწილებზე ჭითარდება მოთეთრო თხელი ფიფქი, ის სოკოს ნაყოფიანობაა და წარმოადგენს

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ

მშობლიურ მხარეზე უზომოდ შეყვარებული

რეზო დავითის ძე ჩხეიძე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიულ სნეულებათა კათედრის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. ეს პიროვნება დღეს ცნობილია არა მარტო ჩვენს რაიონში, არამედ მთელს რესპუბლიკაში.

სახელი და ავტორიტეტი მან მოიპოვა თავისი ცოდნით, უნარით, შრომისმოყვარეობით, კეთილკაკლობით, ყველას სიყვარულით.

როზალიუსი, ლეჩხუმში ამ სახელით უფროა ცნობილი, როგორც თითქმის ყველა ლეჩხუმელი ახალგაზრდა სოფლად, შრომისმოყვარე, პატიოსან ოჯახში აღიზარდა. მამა დავით ჩხეიძე რაიონში საანგარიშო დარგის ცნობილი სპეციალისტი იყო, სად არ მუშაობდა ბუღალტრად, საგზაო სამმართველოში, სატყეო მეურნეობაში, რაიაბრეშუმში და ყველგან კაცური კაცის, უმწიკვლო მუშაკის, კარგი სპეციალისტის სახელი დატოვა. დავითმა ხუთი შვილი აღზარდა, ყველამ უმაღლესი განათლება მიიღო. რომ ბედის უკუღმართობა არა (ორი მათგანი უდროოდ გამოაკლდათ), ყველანი კეთილსინდისიერად შრომობდნენ და ემსახურებოდნენ სამშობლოს.

ბუნებრივია, ასეთ ოჯახში, გარემოცვაში აღზრდილი ახალგაზრდა თავიდანვე შრომას ეზიარა, გაიგო მისი ფასი. 1950 წელს მან წარჩინებით, რაიონში პირველმა ოქროს მედალზე დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა და მაშინვე სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდა დაეწაფა მეცნიერებას. კერძოდ კი მედიცინის მეცნიერების ღრმად შესწავლას. იგი სტუდენტობიდანვე გამოირჩეოდა როგორც შემოქმედი, ერუდირებული ახალგაზრდა. სტუდენტობიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში, მის მიერ მომზადებული მოხსენებები, რეფერატები გამოირჩეოდა მეცნიერული - სილრმით, საკითხის წვდომით.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე აისრულა ოცნება გამხდარიყო ქირურგი. ჩაერიცხა ორდინატურაში ამ სპეციალობით.

1960 წელს კი ჩაერიცხა ასპირანტურაში და 1966 წელს დაიცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 40 წელია ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზეა. სად არ უმუშავია—დედაქალაქის წამყვან კლინიკებსა თუ რაიონებში. მუშაობდა გორისა და ქობულეთის რაიონულ საავადმყოფოებში ქირურგიული განყოფილებების გამგედ, შემდეგ ზესტაფონის საარაონთაშორისო ცენტრალური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეა. ყველგან მისი საზრუნავი იყო ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვა, ცნობილ დასტაქართა გამოცდილების მიღება.

ქირურგიაში მისი პირველი ხელმძღვანელი, დამასწავლებელი იყო ჩვენი რაიონისათვის კარგად ცნობილი ქირურგი, მისი სიმამრი აბესალომ ტყეშელაშვილი. შემდეგ კი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე ასისტენტობისას პროფესორი ძიხეილ ჩაჩავა. ვიხ ძოთვლის 40 წლის მანძილზე რამდენი (ასეულობით) ოპერაცია აქვს გაკეთებული, მათ შორის ისეთი ძძიმეები, როცა ადამიანთა სიცოცხლე, რომ იტყვიან, ბეწვზე ეკიდა, რამდენი ღამე უთენებია მძიმე ავადმყოფის სასთუმალთან და სიკვდილთან ჭიდილში გამარჯვებული გამოსვლა.

რ. ჩხეიძე არა მარტო კარგი ქირურგი, არამედ კარგი ხელმძღვანელია. მან 5 წელზე მეტი იმუშავა მესხეთ-ჯავახეთის (ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინძის, ადიგენის რაიონების) რეგიონის მთავარ ქირურგ-კონსულტანტად და ახალქალაქის რაიონის მთავარ ექიმად. მისი ხელმძღვანელობის დროს რამდენი რამ აშენდა, გაკეთდა რაიონში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და კადრების უზრუნველყოფისათვის.

ოჯახში ტრადიციად დამკვიდრდა, რომ იდგნენ ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე, მეუღლე რუსუდანი, შვილი დათო ექიმები არიან.

მან თავისი მუშაობის გამოცდილებას, პრაქტიკას, გაუკეთა მეცნიერული ანალიზი და 1993 წელს დაიცვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი თემაზე: „ნაწლავის გარეთა ხვრელმილების მკურნალობა მაღალ მთიანეთის და ბარის პირობებში“. მიენიჭა პროფესორის წოდება.

ბატონ როზალიუსს ჭასაზღვროდ უყვარს მშობლიური კუთხე ლეჩხუმი და მისი მშვენიერი სოფელი აღვი. როგორც კი გამონახავს დროს, სოფელშია, უვლის მამა-პაპურ სახლკარს, ეზო-ბაღს. თითქმის ყველა შვებულებას სოფელში ატარებს.

ამჟამად ბატონი როზალიუსი კვლავ მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიულ სნეულებათა კათედრის პროფესორად. მისი ინიციატივით რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროს ბრძანებით იგი მიმდინარე წლის 1 მარტიდან 25 აგვისტომდე მოვლინებულია მეთოდურ და სამკურნალო საქმეში კონსულტაციისათვის ცაგერის, ლენტეხის, ამბროლაურის რაიონებში.

მაგრამ დღეს ვინც მის საქმიანობას გადახედავს, დარწმუნდება, რომ იგი არა მარტო მეთოდურ კონსულტაციებს ატარებს, იგი უდიდეს, ძალზედ რთულ ქირურგიულ ოპერაციებს აკეთებს, განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავზე. თითქმის ორი თვეა რაიონულ საავადმყოფოში ქირურგიულ განყოფილებაში ყოველ ხუთშაბათს უმძიმესი ოპერაციები მიმდინარეობს და ძალზედ შედეგიანადაც.

ბატონ როზალიუსს გვერდით უდგანან ამ მძიმე ოპერაციების დროს რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე ბატონი ალუდა ზურაბიანი, ანესთეზიოლოგი ბათული დანგაძე, მედიცინის დები გულო ნემსაძე, გულო ომანაძე, ციცო მუშკუდიანი, ციცო ხეცურიანი.

უკვე შეიძლება ითქვას ოპერაციის შედეგად განკურნებულები, ოჯახებს დაუბრუნდნენ: როსტომ მუშკუდიანი, [illegible] ღინაძე, ბორის ფუფლისანი. ოპერაციის შემდეგ [illegible] დმყოფოში არიან და მალე გაეწერებიან ვალერი მუშკუდიანი, ზაურ მანგაძე, ზაურ ასათიანი.

ყველა იმ პიროვნების ჩამოთვლა, ვისაც ამ პერიოდში ბატონ როზალიუსისა და ბატონ ალუდა ზურაბიანის ხელი შეეხო, ერთ ხაგაზეთო წერილში შეუძლებელია.

20 წელზე მეტია ვიტანჯებოდი კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულებით. არ იყო ჩემთვის ჭამა-სმა, ძილი და მოსვენება. შიშით ვერ ვბედავდი ოპერაციას, ყველა ანალიზებისა და დასკვნების შედეგად ბატონ როზალიუსის რჩევით გავბედე და გავიკეთე ოპერაცია, რამაც კარგად ჩაიარა და ამჟამად ძეიძლება ითქვას, თავს მეორედ დაბადებულად ვგრძნობ. სალოცავ კერპად იქცა ბატონი როზალიუსი ჩემთვის, განაცხადა პედაგოგმა გრიგოლ სალინაძემ. ასეთივე აზრისაა ყველა ნაოპერაციევი პიროვნება და მათი ოჯახის წევრები.

დღეს ამ ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში, როცა მედიკამენტების, შესახვევი თუ სხვა საშუალებების დეფიციტია, ძნელია ქირურგისა თუ ავადმყოფის და მათი პატრონებისათვის ასეთი რთული ოპერაციების ჩატარება. მაგრამ ცოდნა, გამოცდილება, უნარი, კაცობა ყველაფერს სჯობნის და სიცოცხლე გამარჯვებული გამოდის.

ბატონ როზალიუს ჩხეიძის გვინდა ვუსურვოთ ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და ყოველთვის ყოფილიყოს ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

ნ. ნემსაძე.

ᲮᲘᲖᲜᲔᲑᲘ

შვილ-შვილთან ერთად დაბრუნდება

რესპუბლიკაში და მით უმეტეს აფხაზეთში ყველამ კარგად იცოდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალდაბის მცხოვრებთა მამაცური ბრძოლების შესახებ აფხაზი სეპარატისტებისა რა მათ მიერ დაქირავებული გადამთიელების წინააღმდეგ. ამ სოფლის შესასვლელთან მაშინ ყველას ყურადღებას იპყრობდა უბრალო მატერიაზე დაწერილი შემდეგი სიტყვები „ახალდაბას დავიცავთ ახალდაბელები, აქ ფეხს ვერ დაადგამს მტერი“. ასეც იყო, რასაც ბევრი სიცოცხლე შეეწირა. სისხლისმღვრელ ბრძოლებში ძმას ძმა ცვლიდა, შვილს მამა. ზოგჯერ ქმარს ცოლი. სწორედ ამიტომ ვერ აიღო დიდხანს მტერმა სოფელი.

„ძალა აღმართს ხნავსო“ ნათქვამია, როცა სოფელში შემოგრიალდა რუსეთის მძიმე ტექნიკა, მას შემოყვნენ აფხაზები და მათი დაქირავებულები, ჩვენგან კი დახმარება არსაიდან მოვიდა, მტერმა მიწასთან გაასწორა ყველაფერი. დაეცა სოფელი. ბავშვები, ქალები, მოხუცები თეხბურთის სტადიონზე შერეკეს და რჩ აწამებდნენ, ახალგაზრდებს კი ადგილზე ხვრეტდნენ. სოფლის მუდამ თვალაკი ლეჩხუმელების სიძე ავთანდილ ცირდავა ჯერ მოკლეს და მერე ხეზე ჩამოკიდეს.

ამ ეკონომიკურად ძლიერ სოფელში ცხოვრობდა ვაჟა და ნონა ივგენიძეების შრომისმოყვარე ოჯახი. ოჯახს საუკეთესო სახლკარი, ეზო-გარემო ჰქონდა. მაგრამ ამ უსამართლო ომმა მათაც უწია. რომ იტყვიან, ბეწვზე გამოასწრეს იქიდან.

ახლა ლტოლვილი 7 შვილის დედა ნონა ვალერის ასული კვარაცხელია. და მისი მეუღლე ვაჟა ივგენიძე ამჟამად ცაგერში ცხოვრობენ, სამეურნეობათშორისო. სამშენებლო-ორგანიზაციის საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში, მეშვიდე შვილი, ვაჟი გიორგი ლტოლვილობაში, ცაგერში დაიბადა.

რა ძნელია მშობლიური სახლ-კარიდან აყრილმა, ლტოლვილმა, შვიდი შვილით იცხოვრო სხვაგან, სხვის ხელებს შემყურე.

მაგრამ კეთილ ადამიანებს რა დალევს ამ ქვეყანაზე. ასეთად მოევლინა ამ მრავალსულიან ოჯახს სამეურნეობათშორისო მშენებლო ორგანიზაციის საბჭოს უფროსი სოსო თვარაძე. მან ოჯახს ადმინისტრაციულ სახლში ორი დიდი, ნათელი ოთახი დათმო. ეზოში კი საბოსტნე ნაკვეთი გამოუყო, უფლება მისცა იქვე ეზოში გამოეზარდათ ინდაურები, ქათმები, ამავე დროს ოჯახის დიასახლისი მეეზოვედ მუშაობს საწარმოში.

ლტოლვილ შვიდი შვილის დედას თავისი ოჯახით ერთი სული აქვს, სანამ დაბრუნდება ათჯერ გადამწვარ, ტანკებისაგან გადათხრილ თავის სოფელ ახალდაბაში, მართლა ახალი დაბა იყო წინათ.

პ. ლეთოდიანი.

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ

ᲡᲝᲤᲝ, ᲒᲝᲩᲐ ᲒᲝᲒᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲒᲐ
ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ
ᲝᲠᲒᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲐᲛᲣᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲒᲐᲜᲙᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ.

ᲙᲐᲙᲝ ᲗᲝᲛᲐᲡ ᲫᲔ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ
ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲓᲐᲒᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ, ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕ ᲪᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ.
ᲛᲔᲠᲘ, ᲡᲝᲡᲝ, ᲛᲐᲥᲕᲐᲚᲐ, ᲤᲝᲗᲝᲚᲐ ᲮᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲐᲚᲘᲜᲔᲑᲘ.

ᲒᲣᲚᲝ ᲛᲔᲣᲨᲔᲚᲘᲐᲜᲡ
ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲚᲐᲡ ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ.
ᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲠᲔᲑᲘ.

№ 22 6661 21 ივნისი 1965 წ.

ფიტოფტორა კარტოფილის საშიში დაავადებაა

(დასასრული)

ინფექციის წყაროს, ბრძოლის ღონისძიებები:

1. ინფექციის წყაროს მოსპობის მიზნით მოსავლის აღებამდე 4—5 დღით ადრე აუცილებელია დაზიანებული მცენარეების შეგროვება და დაცვა: ასევე უნდა მოვიქცეთ მოსავლის აღების შემდეგაც: საჭიროა მთლიანად მოისპოს ვეგეტატიური ნაწილები.

2. მოსავალი უნდა ავიღოთ მშრალ, მზიან ამინდში.

3. კარტოფილი ამოღებისთანავე უნდა გაიშალოს თხელ ფენად და მზეზე გაშრეს.

დაუშვებელია ახლადაღებული კარტოფილის მაშინვე ტომრებში ჩაყრა და საწყობში შეტანა. მით უმეტეს, თუ ეს კარტოფილი იმ ნაკვეთიდანაა, სადაც ღეროსა და ფოთლებზე ვეგეტაციის პერიოდში შეინიშნეოდა ფიტოფტორით დაავადება.

4. არაკეთილსაიმედო ნაკვეთიდან აღებული კარტოფილის ტუბერები 10—12 დღეში ერთხელ უნდა გადაისინჯოს.

5. სათესლე მასალა უნდა ავიღოთ მხოლოდ აპრობირებული ნაკვეთებიდან, სადაც დაავადება არაა შენიშნული.

6. პროფილაქტიკის მიზნით სათესლე მასალა საწყობში შეტანამდე უნდა დამუშავდეს 0,5—პროცენტიანი ხომეცინის ან 0,4 პროცენტიანი არცერიდის ხსნარით. გაშრობის შემდეგ ჩაიყრება შესანახად. საწყობი ხშირად უნდა ნიავდებოდეს,

კარტოფილისა და პამიდვრის ნათესების დაცვის ქიმიური საშუალებები ვეგეტაციის დროს დაავადების ნიშნების აღმოჩენისთანავე გამოიყენება 0,5—პროცენტიანი ხომეცინის ან 0,4 პროცენტიანი არცერიდის ან 1—პროცენტიანი ბორდოული სითხეები. შესხურება წარმოებს: 1. კარტოფილისა და პამიდვრის ყვავილობამდე. 2. ყვავილობის დამთავრებისთანავე და შემდეგ მშრალ ამინდში 10 დღის, ხოლო წვიმიან ამინდში 7—8 დღის ინტერვალით საჭიროების მიხედვით.

ვენერა ხელაძე,
ს. მ. მეცნიერებათა კანდიდატი.

«სიქადულო ჩემო მართლმადიდებლობაო!»

„შედით ვიწრო კარიბჭით, ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისკენ მიჰყავს, და მრავალნი დადიან მასზე.

ვინაიდან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისკენ მიჰყავს, და მცირედნი პოვებენ მას».

მათე (7,13—14).

მართლმადიდებლები მსოფლიოს ხალხთა მხოლოდ 2 პროცენტს შეადგენენო, ამბობენ. ამით იმის თქმა უნდათ, უფრო ხალხმრავალ რელიგიებში ხომ არ ვეძიოთო ჭეშმარიტება. შეიძლება ეს მაჩვენებელი სწორია, მეტსაც გეტყვით, რეალური მრწამსითა და ადამიანთა საქმეებით თუ ვიმსჯელებთ, რომლის გარეშეც რწმენა მკვდარია, შეიძლება ამდენიც არ იყოს. ჩვენ არ გვეშინია ამის აღიარების. არ გვეშინია არც იეღოველთა მუქარისა, ჩვენი მოძღვრება მსოფლიოს 278 ქვეყანაში იქადაგება და მილიონობით ხალხი მოგვყვებაო, რამეთუ „ფართოა გზა, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავს და მრავალნი დადიან მასზე“. ამასაც ამბობს უფალი—მრავალნი არიან წვეულ, მაგრამ მცირედნი—რჩეულ.

მაგრამ რატომ მცირედნი?

ჩვენ ყველანი—ადამის ცოდვილი შთამომავლობა უფალმა გამოგვისყიდა თავისი უბიწო სისხლით, მან მიგვიწვია თავის საქორწილო ნადიმზე, სასუფევლის დასამკვიდრებლად, სიცოცხლის წყაროს დასაწაღებლად. ჭეშმარიტებასთან მისაახლოებლად (იგივე საქორწილო ნადიმის შესახებ). წვეულთა უმრავლესობამ არც ეს ღვთიური მსხვერპლი ჩააგდო რამედ და არც მიწვევა დააფასა—ვინ მოუცლელობა მოიმიზეზა, ვინ კიდევ ნადიმზე უღირსად, შეუფერებელი ტანსაცმლით გამოცხადდა. ამ ადამიანებმა არად ჩაიგდეს და დღეს აც არად აგდებენ ღვთის დიდებას, მხოლოდ ცოტა თუ ხედავს ამ დიდებას და უფრო ცოტა ცდილობს შეაფერი სამოსით შეიმოსოს სხეული, რათა განწმენდილ — გასპეტაკებული წარუდგეს დიდების უფალს. ცოტა იმიტომ, რომ ყველას არ ძალუძს ებრძოლოს ცოდვას, ბევრს არც უნდა ეს, ცოდვა შეყვარებია და იმიტომ. უფალთან კი ცოდვა არაა, ამიტომ ვერ მოხვდებიან უფლის საქორწილო ნადიმზე ისინი, ვისაც არ სურს განეშოროს ცოდვას. რამდენადაც ტკბილია უფალი, იმდენად ძნელია მასთან მისვლა, ძნელია, რადგან უჭირს კაცს უკვე შესისხლხორცებულ ცოდვასთან, ღვთის ჭეშმარიტ დიდებას კი მხოლოდ ის შეწვდება, ვინც ამაოების მტერი ხდება. ამას ცოტანი თუ აღწევენ. ამიტომაა, რომ გარეგნულად მართლმადიდებლობა თითქოს დაჩაგრულია, რახან ცოტანი მისდევენ ღვთის ჭეშმარიტ თაყვანისცემას. იმიტომ, რომ ძნელია!

მაინც რა არისო ძნელი, იკითხავს მკვანი. ძნელია დაიცვა იესო ქრისტეს და მის მოციქულთა მიერ დადგენილი ნორმები, ძნელია გიყვარდეს ღმერთი და მოყვასი საკუთარ თავზე მეტად, ძნელია მორჩილება ადამიანთა ამპარტავნული სულისათვის, ძნელია 2—3 საათი წირვაზე დგომა და შემუსვრილი გულით მოსმენა (მოსმენაზე უფრო ლაპარაკი გვემარჯვება ადამიანებს), რომ არაფერი ვთქვათ აღსარებაზე, რომელსაც სულიერ მოძღვარს აბარებს მორწმუნე. წმინდა მამები ამბობენ, რომ ყველაზე ძლიერი ამპარტავნების დემონია, ალბათ ყველა კაცს ჰქონია შემთხვევა, როცა საკუთარ თავსაც ვერ უტყდები ცოდვაში.

წარმოიდგინეთ, რა ძნელი უნდა იყოს ცოდვასა თუ ცოდვიან გულისთქმაში გამოუტყდე სულ სხვა ადამიანს, ბუნებით ისეთსავე ცოდვილს, როგორც შენ ხარ, მაგრამ ღვთის მიერ მღვდლად დადგინებულს. მეტისმეტად ძნელია, დათრგუნო ამპარტავნების დემონი, ჩამოიხსნა ნიღაბი და ნამდვილი, ჭეშმარიტი სახით ეჩვენო მოძღვარს, რათა მან, როგორც მკურნალმა დაინახოს ძენი სნეულება და დაგეხმაროს ცოდვილი ბუნების განწმენდაში. ეს დემონი მხოლოდ სიმდაბლის სულით განიდევნება, ადამიანებს კი თავის ამაღლება გვირჩევნია. ამიტომ ჭირს მართლმადიდებლობა, ამიტომ უძნელდებათ უფალთან მიახლოება ადამიანებს, ამიტომ უფრო იოლად იღებენ სხვა მოძღვრებებს, რომელთა მიმდევრებს არავინ აკალდებულებს აღსარებას კაცის წინაშე. მართლმადიდებლობა თავმდაბლობის, მოთმინების და სიყვარულის აღმსარებლობაა.

ია ხელიძე.

ხსოვნა

გურამ (ხუჯა) მიხას ძე ბენდელიანი

30 წლის წინათ ზედა ლუხვანოში, ლაჩიის გორაზე ტრაგიკულად დაიღუპა ჭურამ ხუტა მიხას ძე ბენდელიანი.

ტანჯულმა მამამ შვილო, მთელ ოჯახთან ერთად გადაგიხადე დაღუპვის 30 და დაგადგების 50 წლისთავი. იქ, სადაც შენი სააკაძისეული მაჯისცემა შეწყდა, სადაც შენს მჩქეფარე სიცოცხლეს დაესვა წერტილი, ეს იყო 1965 წლის 31 მაისს.

ოგელისკის წინ ცოდვილიან მინდორში გავუალეთ სუფრა ამა წლის 31 მაისს. შენი ყანწებით დაგლოცეს ბიჭებმა, ყველაზე პირველად კი მე, უბედურმა მამამ.

შვილო ხუტა, შენ ხომ რა იოანი ცნობილი სპორტსმენი იყავი. ამის დასტურია სიგელები, დიპლომები, სპეციფორმები იქ გაკეთებულ შენს ნათელ მოდიდო ოთახში რომ ინახება. იქვეა ღვინისთვის ჭური, ხრიკით და სქელი რეული, რომელიც გვამცნობს შვილო, რომ ამ ხნის განმავლობაში სამი ათასზე მეტ კაცს უხსენებიხარ. იმ შეჩვენებულ ალაგას ოჯახებში ყველა გახსენებს.

დედაშენმა ვეღარ გაუძლო და გვერდით მოგიწვა. ჩაგეხუტა, მაგრამ მე რა ვქნა, ასე რომ ვჯახიროგ, მაგრამ გჭირდები.

ოჯახი, შენი დედამიშვილები მრავლობენ და სახელობენ. შენი სახელი შენს ძმისშვილს რომ დავარქვით შინსავით ძლიერი დაიბადა, გერმანიაში მოიხადა სამხედრო ვალი, ახლა სასახელო შრომის ფერხულშია.

შვილო, ჩემო პირველო სიხარულო, როცა ოგელისკი და ოთახი გაკეთდა, იქ ნარგავებიც დაირგო, რომელსაც სათუთად ვუვლიდით და იმიტომ გაშენდა იმ ხრიოკ ადგილას ტყე, რომელსაც ხუტას ტყე ეწოდა. იგი შენს სახელზე იგიგინებს და იუბრიალებს.

იქნე ტკბილად შვილო, თუ ამას ძილი და ისიც ტკბილი ძილი ჰქვია.

ტანჯული მამა
მიხა ბენდელიანი.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება მასწავლებლის

მალხაზ ლეთოდიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ჰირისუფალს.

მეუღლე რუბენი, შვილები ცარო, ციცინა, ნანი, შვილიშვილები დათო, კონსტანტინე, ქალიშვილიშვილი ვილეტი, გიორგი, ნიკოლოზი ძმა ვალერიანი — ... ... რძლები ლენა, ცირა, თამარი, ნინა, მული შუშანა, სიძეები რუბენ მეშველიანი, ჯიმალ ულენტი, ძმისშვილები, დისშვილები, მაზლისშვილები, მულისშვილები (ოჯახებით) იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ფაფალა რომანოზის ასული მურცხვალაძე—კვირკაშვილი.

დაკრძალვა შაბათს, 24 ივნისს, 15 საათზე, სოფ. ჩხუტელში.

გრიშა ახვლედიანი, რუბენ კოკალიანი, აკვსენტი მინდაძე ოჯახებით იუწყებიან

ზვიად ფრუიძის

გარდაცვალებას.

ციცო სადილიანი, ლია ხვადაგიანი, მედიკო ნემსაძე, მანანა გოგიძე, შოთა ახვლედიანი, თამაზ კენჭაძე, გოგი გოგიძე თანაუგრძნობენ ძაძუ ახვლედიანს სიძის

ზვიად ფრუიძის

გარდაცვალების გამო.

სარაიონო საგავშვო გიბლიოთეკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ძაძუ ახვლედიანს სიძის

ზვიად ფრუიძის

გარდაცვალების გამო.

მარიამ გამსახურდია ოჯახით თანაუგრძნობს ჰირისუფალს

ზვიად ფრუიძის

გარდაცვალების გამო.

რეზო სილაგაძე, დათო სალინაძე, ნუგზარ დავითულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნატო, ამირან კოკალიანებს გაუუის

დავით ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის კულტურის განყოფილების, სარაიონო კულტურის სახლისა და ცენტრალური გუნჯალტერის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ძაძუ, რუბენ კოკალიანებს სიძის

ზვიად ფრუიძის

გარდაცვალების გამო.

ახალი ქართული ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოგა ფრუიძეს დეიდის

ანიჩკა ხმელიძის

ნატო მურცხვალაძეს გაგუის

დავით ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

ლერი სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჰირისუფალს

მალხაზ ლეთოდიანის

გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელი—რედაქციის კოლექტივი

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონი: 28—31.

ცაგერის რაიონული სტამბა